საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო სანდოძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნინო სანდომის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ნინო სანდომის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ნინო სანდომე გამოირჩევა თავდაჭერილობით, შეუვალობით, კორექტულობით და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. აგრეთვე, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		აღსანიშნავია, რომ ნინო სანდოძის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავმდაბალი, კეთილსინდისიერი, კომუნიკაბელური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და სხვ. ასევე, მის მიმართ მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	ნინო სანდოძე სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს. და ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება და გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დასაბუთების უნარით.
წერის უნარი	20	20	ნინო სანდოძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/305-18, 2018 წლის 18 ოქტომბერი,

			ითქვას, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში თანმიმდევრულად და ცხადად აყალიბებს ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს. იგი მომზადებულია ნათელი და გამართული ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან იგი არის მშვიდი, გაწონასწორებული და ღიად, ნათლად გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს, აგრეთვე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (100%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (96,3%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატს აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/3----- 2018 წლის 20 დეკემბერი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/549-19 2019 წლის 3 ივნისი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/2013-19 2020 წლის 10 მარტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/181-13 2020 წლის 12 მარტი.

პროფესიული აქტივობა	4	5	ნინო სანდომეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. ამასთან, იგი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი. თუმცა, კანდიდატი არ არის დაკავებული პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	95	100	

დასაბუთება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ნინო სანდომე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ნინო სანდომის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ნინო სანდომის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც,

	რომ ნინო სანდოძის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ინფორმაციის შეგროვების პროცესში გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები ნინო სანდოძის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, შეგნებული, გულწრფელი, კორექტული და გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოსმენაზე ნინო სანდოძემ დატოვა თავაზიანი, გაწონასწორებული და მშვიდი პიროვნების შთაბეჭდილება. რაც შეეხება კანდიდატის მხრიდან მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის სწორად გააზრების საკითხს. ვფიქრობ, რომ ამ კუთხით ნინო სანდოძე უნდა შეფასდეს დადებითად, ვინაიდან, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი ჯეროვნად ასრულებს როგორც სამსახურებრივ ისე ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს. კერძოდ, მისი მხრიდან დროულად არის გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები, იგი კარგად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* ნინო სანდოძის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის არის პიროვნულად მტკიცე, შეუვალი, პრინციპული და ზეგავლენის მიმართ მდგრადი. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ იგი არის პიროვნულად მყარი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ნინო სანდოძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ნინო სანდოძე იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან ან სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა

	მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა საკითხის განხილვისას კანდიდატი ცდილობდა, რომ მისი პოზიცია გამოეხატა მშვიდად და გამოირჩეოდა თავდაჭერილობითა და საკუთარი ემოციების მართვის უნარით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, ნინო სანდოძის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან უთითებენ იმასაც, რომ იგი გამოირჩევა კარგი რეპუტაციით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნინო სანდოძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ძირითადად იძებნება ინფორმაცია მიერ განხილულ საქმეებთან და კანდიდატთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის</u>* შესახებ, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ნინო სანდოძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის**

	კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ნინო სანდოძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით</u>* უნდა აღინიშნოს, რომ ნინო სანდოძე სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ ნინო სანდოძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 29 იანვარს ნინო სანდოძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. აღსანიშნავია, რომ იგი იყო თავდაჯერებული, კორექტული და გაწონასწორებული. ნინო სანდოძემ სამართლებრივ საკითხებზე საუბრისას გამოავლინა ანალიზისა და მსჯელობის კარგი უნარი. ამასთან, იგი არგუმენტირებულად და დამაჯერებლად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით</u>* შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად

[2] იხ. ნინო სანდოძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=5SdNGd9n-WM

	არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე. ნინო სანდოძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში თანმიმდევრულად და ცხადად აყალიბებს ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს. იგი მომზადებულია ნათელი და გამართული ენით. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტებში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. რაც შეეხება კანდიდატის <u>*ზეპირი კომუნიკაციის უნარს,*</u> ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ნინო სანდოძეს აქვს გამართული მეტყველების უნარი. იგი არის მშვიდი, თავდაჯერებული და ღიად, ნათლად გამოხატავს მის შეხედულებებს, აგრეთვე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. ნინო სანდოძის <u>*პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით*</u> კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ ნინო სანდოძის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (100%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (96,3%). ნინო სანდოძის <u>*აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის*</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და

[3] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/305-18, 2018 წლის 18 ოქტომბერი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/3----- 2018 წლის 20 დეკემბერი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/549-19 2019 წლის 3 ივნისი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/2013-19 2020 წლის 10 მარტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/181-13 2020 წლის 12 მარტი.

	გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და ადვოკატთა ტესტირება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლეს სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი. თუმცა, კანდიდატი არ არის დაკავებული პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ნინო სანდომესთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლებთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 95 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021 წ.